9983/4-2/21 2 30092021

9983/4-2/21
30-09-2021

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს,
ბატონ მამუკა ჯანგულაშვილს

ბატონო მამუკა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგ ინფორმაცია:

1. 2015-2021 წლებში, ვის მიერ და რამდენი ექსპერტიზა დაინიშნა ავტოსაგზაო შემთხვევების (სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება) შედეგად სატრანსპორტო საშუალებისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დასადგენად?
2. იმ შემთხვევაში, თუ პირველ პუნქტში მითითებული საკითხი ექსპერტიზის წინაშე შეიძლება დაისვას სხვა კვლევის ფარგლებშიც, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია ასეთი ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით დანიშნული ექსპერტიზების შესახებ.
3. საშუალოდ რა ვადაში სრულდება პირველ პუნქტში მითითებული ექსპერტიზა?
4. რამდენს შეადგენს პირველ პუნქტში მითითებული ექსპერტიზის ღირებულება?

გთხოვთ, პირველ და მე-2 პუნქტებში მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი წლების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5007398521
01/11/2021 წ.

5007398521

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-14381/21
"03" 11 2021 წ. ფურცელი 4

ბატონო მიხეილ,

თქვენი, 2021 წლის 30 სექტემბრის #9983/4-2/21 წერილის პასუხად გვინდა გაცნობოთ, რომ ბიურო არ აწარმოებს სტატისტიკას ექსპერტიზის სახეობების, კერძოდ, ავტსაგზაო შემთხვევების (სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება) შედეგად სატრანსპორტო საშუალებებისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენისა და დამნიშანვი ფიზიკური და იურიდიული პირების მიხედვით.

თქვენი ინტერესის გათვალისწინებით, მოხერხდა შემდეგი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

ბიუროს მომსახურების ტარიფები, ექსპერტიზების სახეობები და კოდები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის #171 დადგენილებით.

მსგავსი კვლევები ინიშნება ექსპერტიზის სახეობით - დაზიანებული ავტომობილის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა:

- ექსპერტიზის კოდი - 255 - დაზიანებული ავტომობილის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა;

  ტარიფი:

  ერთი ავტომობილი 2000 ლარის ჩათვლით - 120 ლარი.

  ერთი ავტომობილი 2000 ლარის ზევით - შეფასებული თანხის 6%;

  დაჩქარებულის ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში, ტარიფი ორმაგდება.

  ექსპერტიზების ჩატარების ვადა განსაზღვრულია 30 სამუშაო დღით, ხოლო დაჩქარებული ექსპერტიზის ვადა 10 სამუშაო დღეა.

  გამონაკლისს წარმოადგენს კომპლექსური ექსპერტიზების ფარგლებში დანიშნული კვლევები, რომელთა ვადები ჯამდება ან ჭიანურდება ობიექტური მიზეზებით, ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვების გათვალისწინებით. მაგალითად, როდესაც ავტომობილის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5007398521

ექსპერტიზასთან ერთად კომპლექსურად ინიშნება ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური, ბიოლოგიური ან/და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზები და ა.შ

ხშირია შემთხვევები, როდესაც სადაზღვეო კომპანიების და ფიზიკური პირების მხრიდან ინიშნება მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ღირებულების დადგენის ექსპერტიზა, მათ შორის ავტოსაგზაო შემთხვევამდე და შემთხვევის შემდეგ.

მსგავსი კვლევები ინიშნება ექსპერტიზის სახეობით:

- ექსპერტიზის კოდი - 253 - მსუბუქი ავტომობილისა და სატვირთო ავტომობილის (3500 კგ ჩათვლით) საბაზრო/სატარიფო ღირებულების განსაზღვრა:

  ტარიფი - ერთი ავტომობილი - 70 ლარი;

- ექსპერტიზის კოდი - 254 - სატვირთო ავტომობილის (3500 კგ-ზე მეტი) საბაზრო/სატარიფო ღირებულების განსაზღვრა:

ტარიფი - ერთი ავტომობილი - 150 ლარი.

დაზიანებული ავტომობილის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის და ავტომობილის საბაზრო/სატარიფო ღირებულების განსაზღვრის ექსპერტიზები ინიშნება თუ არა კონკრეტულად ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სატრანსპორტო საშუალებებისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით, სრულყოფილად განსაზღვრა შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული კოდებით ბიუროს მიერ წლების მიხედვით მომზადდა შემდეგი რაოდენობის დასკვნა:

#	წელი	გაცემული დასკვნების რაოდენობა		
		კოდი 255 დაზიანებული ავტომობილის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა	კოდი253 მსუბუქი ავტომობილისა და სატვირთო ავტომობილის (3500 კგ ჩათვლით) საბაზრო/სატარიფო ღირებულების განსაზღვრა	კოდი 254 სატვირთო ავტომობილის (3500 კგ-ზე მეტი) საბაზრო/სატარიფო ღირებულების განსაზღვრა
1	2015	333	5 185	3 201
2	2016	310	5 692	3 947
3	2017	348	6 544	4 354

5007398521

4	2018	317	9 576	5 758
5	2019	359	9 434	5 310
6	2020	387	9 907	5 658
7	2021 (9 თვე)	343	9 818	4 989

პატივისცემით,

პავლე გიორგაძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

5007398521

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანხვედრა იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 01. 11. 25 (ხელმოწერა)

LEPL ADMINISTRATION OF THE SERVICE AGENCY OF THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
NOTARY BUREAU